

# ინგოროყვა - სასტუმრო-საოფისე კომპლექსი

არტსტუდიო პროექტი • 2021

კომისიის წევრი: თანხმობა

• ესკიზი მისაღებია, სიმაღლეები გადასანაწილებელი. ინგოროყვას ქუჩის მხრიდან მოსახსნელია სართული და გადასატანია იაშვილის მხარეს არსებულ მოცულობაზე.

პასუხი: ინგოროყვას მხარეს მოხსნილია სართული, იაშვილის მხარეს რაიმეს დამატების გარეშე.

კომისიის წევრი: უარყოფა

• ინგოროყვას ქუჩის მხარეს მოშორდეს ერთი ან ორი სართული. ჩაიკოვსკის ქუჩის მხარეს ახალი შენობა ქუჩის პარალელურად განთავსდეს

პასუხი: ინგოროყვას მხარეს მოხსნილია ერთი სართული, ჩაიკოვსკის მხარეს პირველი სართული განთავსებულია ქუჩის პარალელურად.

კომისიის წევრი: უარყოფა

• აღნიშნული ნაკვეთის მნიშვნელოვანი მდებარეობიდან გამომდიანრე, გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

1. გასააზრებელია ნაგებობათა გეგმარებითი სტრუქტურა. იქნებ უკეთესი იყოს ჩაიკოვსკის ქუჩაზე არსებული ნაგებობა, მეტად გაყვეს ქუჩის პერიმეტრს, რომელიც სავარაუდოდ მოშენების ფართის გაზრდის და ამავდროულად მეტად შეკრავს ქუჩის ფასადს. ამ დროს გასათვალისწინებელია ჩაიკოვსკისა და ძერჟინსკის ქუჩათა კვეთაზე არსებული შენობის შიდა ეზოც. საფიქრელია რამდენად არის მიზანშეწონილი გამჭოლი ეზოს შექმნა, რომელიც ფაქტიურად არანაირ სიმყუდროვეს არ შექმნის. იქნებ შესაძლებელი იყოს რამენაირი არქიტექტურული ხერხით მისი მოზღუდვა? მაგალითად თაღით უკანა მხიდან ან სხვა;
2. შენობის მოცულობა და სიმაღლეები - ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ შენობა არ უნდა იმზირებოდეს ძერჟინსკის ქუჩიდან. მოცულობა უნდა გადანაწილდეს ის, დაბალანსებული იყოს ცალკეული ქუჩების განაშენიანების ხასიათით. ჩაიკოვსკის ვიწრო ქუჩაზე განაშენიანება დაბალია, ამიტომ აღნიშნული მონაკვეთი არსებულ სიმაღლეს უნდა მისდევდეს, სამაგიეროდ მას აქვს რესურსი იაშვილის ქუჩის მხარეს, რომელიც შესაძლებელია ნაკვეთის გვერდით არსებულ საკმაოდ მაღალ ძეგლ-შენობას გაუსწორდეს;
3. ნაგებობათა არქიტექტურული გადაწყვეტა ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს თანამედროვე, თუმცა თანამედროვეობა უნდა ითვალისწინებდეს არსებული ტერიტორიის მნიშვნელოვანებას, არსებული ძეგლების საკმაოდ მაღალ კონცენტრაციას. შესაბამისად, შენობათა არქიტექტურა უნდა იყოს ფონური, კონცეპტუალური და უკიდურესად დელიკატური;
4. ტექნიკური, თუმცა ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწილია ნაკვეთის მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უმძიმესი ცუდი მდგომარეობა. მშენებლობის პროცესმა არ უნდა დააზიანოს ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები. ეს რისკი მშენებლობის პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული.

პასუხი:

1. ჩაიკოვსკის მხარეს გაპარალელურება გათვალისწინებულია. შენობათა გაერთიანება უკანა თაღით და გადაბმა პრინციპულად არ არის გათვალისწინებული არქიტექტურული თვალსაზრისით. ჩაიკოვსკი-იაშვილის კუთხის კვეთიდან გახსნილი სივრცითი ხედის გადაკვეთა არ შედის ობიექტის არქიტექტორების ინტერესში და სამწუხაროდ ვერ მოხდება ამ რეკომენდაციის გათვალისწინება.
2. ინგოროყვას მხარეს მოხსნილია სართული, ჩაიკოვსკის მხარეს გაჩენილია ერთსართულიანი ქუჩის პარალელური მოცულობა, რომელიც მისდევს ქუჩის არსებულ სიმაღლეს. იაშვილის მხარეს რაიმეს დამატების გარეშე.
3. არქიტექტურული გადაწყვეტა ერთმნიშვნელოვნად თანამედროვეა, თუმცა ითვალისწინებს არსებული ტერიტორიის თავისებურებას და ადგილის სულის აბსტრაქტულ თავისებურებას და ადგილის სულის აბსტრაქტულ გამოხატულებას წარმოადგენს.
4. სამშენებლო კუთხით აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. პრეოქტში იაშვილის 4-ის მომიჯნავედ გათვალისწინებულია არსებული კონსტრუქციის შენარჩუნება, სადაც ახალი მოცულობა შორდება მას დაახლოებით 6 მეტრით მინუს ნიშნულებზე და შემდეგ გადადის კონსოლზე, დამუშავებულია აღნიშნულის კონსტრუქციული გაანგარიშებები.

კომისიის წევრი: უარყოფა

• სასურველია შენობის დადაბლება. ეს შეიძლება მოხდეს კ1 კოეფიციენტის მაქსიმალური ათვისების შემთხვევაში, აგრეთვე, იაშვილის ქუჩის N4-ის მიმართ შენობა თითქოს ცუდად დგას, იგი არ ითვალისწინებს არც თავის და არც 4 ნომრის ინტერესებს. სასურველია გენ-გეგმის კორექტირება.

პასუხი: ინგოროყვას ქუჩის მხარეს მოიხსნა სართული, 4 ნომერთან მიმართებაში მონტაჟში იყო შეცდომით ჩასმული რაც გასწორებულია. შესაბამისად ასახულია გენგეგმაში.

კომისიის წევრი: უარყოფა

პასუხი: მოცემულია უარყოფა რეკომენდაციის გარეშე, რაც მიჩნეულია რომ უარყოფა ეფუძნება სხვა წევრების რეკომენდაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია.

კომისიის წევრი: უარყოფა

პასუხი: მოცემულია უარყოფა რეკომენდაციის გარეშე, რაც მიჩნეულია რომ უარყოფა ეფუძნება სხვა წევრების რეკომენდაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია.


# ადგილმდებარეობა



# ძველი რუკის მონაცემები



# ისტორიული ქსოვილი და კონტექსტი



# ისტორიული ფოტომასალა








ფოტო მოწოდებულია: ნიკა სებისკვერაძე

# ისტორიული ქსოვილი და კონტექსტი

თბილისში პირველი სახანძრო რაზმი 1920 წელს შეიქმნა და სულ 8 კაცს აერთიანებდა: 2 ბრანდმაისტერს და 6 მეთულუხჩეს, რომლებსაც ხანძრის ადგილზე,მდინარე მტკვრიდან წყალი უნდა ეზიდათ.









თბილისის პირველი სახანძრო რაზმი


# თბილისის სახანძრო რაზმის მინიშნებები












ჰოდა, მოიფიქრეს ასეთი რამ: იდგა მაღალი კოშკურების მსგავსი ნაგებობა (ან ანძა), რომელზეც მორიგეობდა მეხანძრე. იქიდან მაშინდელი „ტიფლისი” ხელისგულივით მოჩანდა. სხვადასხვა უბნის მიხედვით სხვადასხვა ფერის ბურთებს ფენდნენ აივნიდან იმის მისანიშნებლად, რომ იქ ხანძარი გიზგიზებდა. ავლაბარში, მაგალითად, წითელ ბურთს ფენდნენ, სოლოლაკში ლურჯს და ასე შემდეგ, ღამით კიდევ ნათურებით სარგებლობდნენ, უფრო სწორად ფარნებით. მაგალითად, ავლაბარში ერთ ფარანს აანთებდნენ, სოლოლაკში სამს და ასე შემდეგ. ასე იყო ეს სისტემა აწყობილი.






ცნობილი კია, რომ როცა საფრანგეთში ძმებმა მონგოლფიეებმა საჰაერო ბურთი გამოიგონეს და ცაში ფრენა დაიწყენს, ამ ამბის აღმწერი წიგნი სასწრაფოდ უთარგმნეს საქართველოს მეფე ერკელეს: ეს საფრენი ბურთები სამხედრო საქმისთვის გამოგადგებაო.
სამხედრო საქმისთვის უცნობია, მაგრამ თბილისისთვის რომ გადაგეფრინათ იმ ბურთით, ათას ფერს დაინახავდით - ცოცხალსა და სასიხარულოს და ეს თბილისის ლილახანის შეკვეთების ფერები იყო.  აკა მორჩილაძე



# პრეცენდენტები - ლონდონის ისტორიული ცენტრი, Central Saint Giles - რენცო პიანო


















ინტერიერი - სასტუმრო-საოფისე კომპლექსი


5=4200
53&200















